ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №235-2013

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2013 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის სახით („**შემსყიდველი**"), და მეორე მხრივ – შპს „გუდვილი"-ჰიპერმარკეტი„გუდვილი-დიღომი" (იურიდიული/ფაქტიური მისამართი: თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ.1), მისი გენერალური დირექტორის, ნუგზარ მაღულარიას სახით („**მიმწოდებელი**"), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა	განზ.ერთ.	ფასი	თანხა
15321000	„მაია სემია" წვენი მულტივიტამინებით 1.93 ლტ.	10	ცალი	4.45	44.5
15321000	LIVO წვენი ფორთოხალი, ალუბალი 1 ლტ.	5	ცალი	3.95	19.75
15861000	CARTE NOIRE ხსნადი ყავა 200გრ.	1	ცალი	34.5	34.5
15235000	ქაშაყის ფილე ზეთში	6	ცალი	6.6	39.6
15131120	კაიზერი-ბასთურმა ნედლად შებოლილი	0.716	კგ	35.38	25.33
15131120	ღორის კისრის (შეიკის) შაშხი	3.258	კგ	16	52.13
15842100	„კორონა" შოკოლადის ნაკრები შავი დანამატის გარეშე 100გრ.	8	ცალი	1.84	14.72
15842100	„კორონა" შოკოლადის ფილა 100გრ	12	ცალი	1.84	22.08
15131310	HAME პაშტეტი ბატის შამპინიონით 190 გრ	1	ცალი	3.95	3.95
15863000	RISTON ჩაი ინგლისური ელიტარული 12X350გრ	3	ცალი	18.4	55.2
15831000	შაქარი 1 კგ.	7	ცალი	1.59	11.13
15872400	KALAS იოდიზირებული მარილი 400გრ	2	ცალი	1.45	2.9
15235000	GAMMA შპროტი ზეთში 240გრ.	8	ცალი	3.6	28.8
15981000	ნაბეღლავი-მინერალური წყალი 1ლ(პეტი)	6	ცალი	0.95	5.7
15842100	ბარამბო ბატონი შოკოლადი რძიანი კარამელით 80გრ.	4	ცალი	1.6	6.4
15235000	BRIVAIS VILDIS-სელდი ზეთში 190*70	3	ცალი	3.2	9.6
15321000	კამპა წვენი ბროწეულის, ატმის 100% (ე.პ. 1ლ)	4	ცალი	3.42	13.68
15540000	RADAMES ყველი ცვილში 8კგ.	0.968	კგ	23.6	22.84
15131120	ნახევრად შებოლილი ძეხვი „პიკნიკი"	1.082	კგ	17.8	19.26
15131120	უმად შებოლილი ძეხვი „საკონიაკე" 400გრ	2	ცალი	12.5	25
15131120	შებოლილი ღორის ნეკნები „ექსტრა"	0.852	კგ	12.8	10.91
15131000	„გუსარსკაია" კონსერვი საქონლის ხორცის 0.325გრ	6	ცალი	3.75	22.5
15891000	GALINA BLANCA ბულიონი ხორცით	1	ცალი	7.8	7.8
15411100	OLEINA oil-მზესუმზირის ზეთი 1ლX15	3	ცალი	3.45	10.35
15861000	JACOBS-დაფქვილი ყავა მონარქი 75გრ.	2	ცალი	3.15	6.3
3211300	გრძელი ბრინჯი	4	ცალი	1.45	5.8
15540000	ყველი სულგუნი (ქ)	4.132	კგ	10.8	44.63
15540000	ბოლნისის შებოლილი სულგუნი (ქ)	2.156	კგ	14.99	32.32

15131200	სუჯუხი	0.348	კგ	28.99	10.09
15131310	HAME პაშტეტი (ღორის ხორცის, საქონლის ღვიძლის, ბატის ღვიძლის, საქონლის ღვიძლის) 117 გრ	13	ცალი	1.45	18.85
15861000	PAULIG-ყავა დაფქვილი 75 გრ	2	ცალი	2.35	4.7
33711430	„ფრეკენ ბოკ"-სველი ხელსახოცი-სმაილი 15ც. ბამბუკი და ედელვაისი	2	ცალი	0.55	1.1
15861000	NESCAFE-ყავა კლასიკი პაკეტში 75გრ.	1	ცალი	4.55	4.55
15842100	NESTLE-შავი შოკოლადის ფილა 100გრ	1	ცალი	2.2	2.2
15842100	SAROTTI-შავი შოკოლადი	1	ცალი	4.4	4.4
15861000	JACOBS-ხსნადი ყავა იაკობს მონარქი 200გრ.	1	ცალი	19.45	19.45
15861000	MOCCA-ხსნადი ყავა ლე კაფე 190გრ.	1	ცალი	15.4	15.4
15981000	მ/წ ლიკანი 1.25ლ. პეტი	25	ცალი	0.85	21.25
15861000	JACOBS-ერთჯერადი რძიანი ყავა 3&1	1	ცალი	0.3	0.3

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 699.97 (ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი 97 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას სტუ-ს მხრიდან განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი) და შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან: თამაზ მდინარაძეს (სტუ-ს საწყობის გამგე) და გოგა ჩახაიას (გრანტი №30/01-ის სამეცნიერო ხელმძღვანელი) შორის.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

3.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღე,

4.2. მისამართი ქ. თბილისი

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 29 ივლისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. №77 სს „თიბისი ბანკი" ა/ა GE22TB7338634080100005 ს.კ. 211349192 ბანკის კოდი TBCBGE22	შპს „გუდვილი"-ჰიპერმარკეტი„გუდვილი-დიღომი" თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. 1 ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა.ა. GE61TB3615336020100004 ს.კ. 206343991
რექტორი ა.ფრანგიშვილი	გენერალური დირექტორი ნ.მაღულარია

---------- ----------

სამეცნიერო გრანტი №30/01-ის ხელმძღვანელი

---------- გ.ჩახაია